ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-98

"30" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ცალკეულ ტერიტორიებზე სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" კოდექსის 46-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. წინამდებარე დადგენილების დანართი 1-ით განსაზღვრულ ზონაში, სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის, პასუხისმგებლობის ზომად განისაზღვროს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემოწმების აქტის შედგენის დღისთვის, არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი (სადემონტაჟო) შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე – 0,5 ლარის ოდენობით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის ცალკეულ ტერიტორიებზე სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 24 აგვისტოს №23.06.942 დადგენილება.

3. ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 24 აგვისტოს №23.06.942 დადგენილების საფუძველზე დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებებზე გავრცელდეს ამ დადგენილების მოქმედება და დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებები დასრულდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი